



აღმოსავლეთის პარტნიორობის  
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის  
საქართველოს ეროვნული პლატფორმა



## საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრის ოქმი

თარიღი: 19 მაისი, 2014 წელი

დრო: 11:00 -13:00 საათი

შეხვედრის ადგილი: ევროპის სახლი

### შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ლაშა ტულუში - საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე, ლიბერალური აკადემია თბილისი
2. ივანე ჩხიკვაძე - აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული კოორდინატორი, ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"
3. ნათია კუპრაშვილი - პირველი ჯგუფის თანაკოორდინატორი, საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაცია
4. ირინა ფუტყარაძე - პირველი ჯგუფის თანაკოორდინატორი, საზოგადოებრივი დამცველი
5. ნინო ელიზბარაშვილი - მეორე ჯგუფის თანაკოორდინატორი, ასოციაცია "ქალი და ბიზნესი"
6. ოლეგ შატბერაშვილი - მეორე ჯგუფის თანაკოორდინატორი, ასოციაცია ევროპული კვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის
7. თამაზ ვაშაკიძე - მესამე ჯგუფის თანაკოორდინატორი, საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი
8. ალექსანდრა კალატოზიშვილი - მეოთხე ჯგუფის თანაკოორდინატორი, სამოქალაქო განათლების განვითარების მულტიეთნიკური რესურსცენტრი
9. ლევან ბოჭორიშვილი - მეოთხე ჯგუფის თანაკოორდინატორი, საერთო სამოქალაქო მოძრაობა "მრავალეროვანი საქართველო"

## განსახილველი საკითხები:

1. ეროვნული პლატფორმის წესდება
2. აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საორგანიზაციო საკითხები
3. ახალი წევრების მიღება

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა გახსნა ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარემ და დამსწრეებს გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი. საბჭოს წევრებმა იმსჯელეს პლატფორმის წესდებაში შესატან ცვლილებებზე და შეთანხმდნენ, რომ 2 კვირის ვადაში კიდევ ერთხელ შეიკრიბებიან და დეტალურად განიხილავენ აღნიშნულ საკითხს. საკოორდინაციო საბჭოში განხილვის დასრულების შემდეგ წესდების სამუშაო ვერსია დაიგზავნება პლატფორმის ჯგუფებში შემდგომი შენიშვნებისა და კომენტარებისათვის.

საბჭოს წევრებმა იმსჯელეს აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საორგანიზაციო საკითხზე. ფორუმი ჩატარდება 2014 წლის 20-21 ნოემბერს, თბილისში. დაწყებულია შერჩევის პროცესი, ორგანიზაციებმა 8 ივნისამდე უნდა შეავსონ საპლიკაციო ფორმა, რომელიც განთავსებულია ფორუმის ოფიციალურ ვებგვერდზე (იხილეთ ბმული: <http://www.eap-csf.eu/en/news-events/news/cso-annual-meeting-invitation-to-submit-expressions-of-interest/>).

პლატფორმის თავმჯდომარის თქმით, ფორუმის კარგად ორგანიზებისათვის აუცილებელია მოლდოვის გამოცდილების გაცნობა და მათ მიერ დაშვებული შეცდომების გაანალიზება. ეროვნულმა კოორდინატორმა აღნიშნა, რომ პირველ რიგში საჭიროა ფორუმის ჩატარების ისეთი ადგილის შერჩევა, რომელიც შეძლებს 300-ზე მეტი სტუმრის მიღებასა და პარალელური სესიებისათვის ოთახების უზრუნველყოფას. გასარკვევია ასევე ქალაქის შიგნით ფორუმის მონაწილეთა ტრანსპორტირებისა და იმ სასტუმროების საკითხი, სადაც მოხდება მათი განთავსება. მეორე ჯგუფის თანაკოორდინატორის აზრით, საჭიროა ჩატარდეს გაფართოებული შეხვედრა მთავრობის შესაბამის უწყებებთან ფორუმის ორგანიზებასთან დაკავშირებით. პლატფორმის თავმჯდომარის თქმით, საორგანიზაციო საკითხების მოსაგვარებლად უკვე მიმდინარეობს მოლაპარაკებები როგორც საქართველოს მთავრობასთან, ისე ფორუმის სამდივნოსთან. მეორე ჯგუფის თანაკოორდინატორის აზრით, რადგანაც წელს ფორუმი თბილისში ტარდება სასურველია გამონაკლისის სახით მონაწილეთა დადგენილ რაოდენობას დაემატოს 15 ადგილი საქართველოდან. ეროვნული კოორდინატორის ინფორმაციით, ასეთი გამონაკლისი არცერთ სხვა ფორუმზე არ ყოფილა, მონაწილეთა რაოდენობა ყოველთვის თანაბარია, რადგან ხმის მიცემის დროს ყველა ქვეყანას ხმების თანაბარი რაოდენობა უნდა ჰქონდეს.

შეხვედრის ბოლოს დამსწრეებმა განიხილეს პლატფორმაში გაწევრიანების მსურველი ორგანიზაციების განაცხადები. მსჯელობის შედეგად დადებითად გადაწყდა 8 ორგანიზაციის წევრობის საკითხი:

1. საარჩევნო გარემოს განვითარების ცენტრი
2. ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრი
3. ადამიანის ჰარმონიული განვითარების ხელშემწყობი საზოგადოება
4. ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების საერთაშორისო საბჭოს საქართველოს ეროვნული კავშირი (ICOMOS საქართველო)
5. ასოციაცია - საზოგადოება განვითარებისათვის
6. ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი
7. თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი
8. ეთნოსთაშორის თანამშრომლობისა და კონსულტაციების ანალიტიკური ცენტრი

მსჯელობის შედეგად დადებითად გადაწყდა ასევე 2 ორგანიზაციის ასოცირებული წევრობის საკითხი:

1. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა
2. ევროპის ალუმნების გაერთიანება

ეროვნული პლატფორმის წესდების 4 მუხლის 4.2 პუნქტის ა ქვეპუნქტის თანახმად, აღმოსავლეთ პარტნიორობის ეროვნული პლატფორმის წევრობის მსურველი ორგანიზაცია "რეგისტრირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აღმოსავლეთ პარტნიორობის ეროვნული პლატფორმის წევრობის შესახებ წერილობითი განცხადების წარდგენის მომენტისთვის არაუგვიანეს 2 წლისა". აღნიშნულ მუხლთან შეუსაბამობის გამო პლატფორმაში გაწევრიანებაზე უარი ეთქვა 2 ორგანიზაციას:

1. სამოქალაქო ჩართულობის ინსტიტუტი
2. სამოქალაქო განვითარებისა და ადამიანის უფლებათა ცენტრი

ორსაათიანი განხილვის შემდეგ საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე ბულია